ამონარიდი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის დასკვნიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) შესახებ

....საქართველოში ამერიკის სოლიდარობის ცენტრის ცობით 8 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი შეხვდა სკოლების რეგიონალურ უფროსებს (იგულისხმება რესურს ცენტრის ხელმძღვანელები) და გასცა სიტყვიერი ბრძანება, რომ ყველა სკოლის დირექტორს თავი უნდა შეეკავებინა პედაგოგების საწევრო ანარიცხების პროფკავშირისთვის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისთვის გადარიცხვისგან. ამის შემდგომ სპმთპ-ის ადგილობრივმა ლიდერებმა დაიწყეს საწევროების აგროვება პირდაპირ წევრებისგან. როდესაც მინისტრმა შეიტყო ამ საქმიანობის შესახებ განაცხადა, რომ დადგებოდა ყველა სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც დაუშვებდა მათ სკოლებში საწევროების ასე შეგროვებას. მინისტრის 30 ნოემბრის განცხადებით იმისათვის რომ მომხდარიყო საწევრო ანარიცხების პროფკავშირისთვის გადარიცხვა, სკოლის ადმინისტრაციებს დაევალათ ჰქონოდათ მასწავლებელთა პირადი განცხადება და კოლექტიური შეთანხმება სკოლასა და პროფკავშირს შორის . სპმთპ-მ გვაცნობა, რომ საწევრო ანარიცხების მოკრება ვერ ხორციელდებოდა მაშინაც კი როდესაც მათ შეაგროვეს ყველა საჭირო დოკუმენტი.

დიმიტრი შაშკინიმა უარი განაცხადა შეხვედროდა და დაეწყო დიალოგი სპმთპ-ის ახალ პრეზიდენტთან, რომელიც ლეგიტიმურად არჩეულ იქნა 30 ოქტომბერს. მასწავლებელთა გაერთიანებამ ასევე გვაცნობა, რომ მანდატურები , რომლებიც სამინისტრომ დაიქირავა მიმდინარე წლის განმავლობაში, იმისათვის რომ დაეცვათ სკოლიში წესრიგი, აჭარბებენ მათ უფლებამოსილებას და მანდატს და სამინისტრო იყენებს მათ დასარწმუნებლად, რომ სკოლებში არ გროვდება პროფკავშირის საწევროები. მანდატურები რომლებიც ექვემდებარებიან მხოლოდ სამინისტროს, მათი გამოძიებებისა და დაკვირვებების შედეგად აგროვებენ და წერენენ ოფიციალურ დასკვნებს მასწავლებლების შესახებ, რომლებსაც შემდგომში სამინისტროს თანამდებობის პირები იყენებენ მასწავლებელთა გასანთავისუფლებლად.